

**დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება ადმინისტრაციულ  
სამართალში - პრაქტიკის ანალიზი და არსებული კონტროლის მექანიზმები**

**ანა სიამაშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად*

**საჯარო სამართალი და პოლიტიკა**

**სამეცნიერო ხელმძღვანელი თამარ კორძაია**

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2020**

## განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესებისად შესაბამისად.“<sup>1</sup>

ანა სიამაშვილი, 01/07/2020 წელი

---

<sup>1</sup> წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეფუძნება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის ერთ–ერთი კურსის, აკადემიური წერის ფარგლებში, ჩემს მიერ შესრულებულ, იდენტური სახელწოდების მქონე, გამოუქვეყნებელ, სიმულაციურ სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნაშრომს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესებისად შესაბამისად.

## აბსტრაქტი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსების ამოქმედების შედეგად, დაინერგა რიგი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ინსტიტუტები და ჩამოყალიბდა თანამედროვე ადმინისტრაციული მართლმსაჯულება. ერთ-ერთ ასეთ სამართლებრივ ინსტიტუტად გვევლინება დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პრინციპი, რომლის ლეგალური დეფინიცია მოცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ტერმინთა განმარტებაში.

შეიძლება ითქვას, რომ დისკრეციული უფლებამოსილების ინსტიტუტი ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს ეროვნული კანონმდებლობისთვის. ამდენად, მეტად სავარაუდოა, რომ სწორედ აღნიშნულმა ვითარებამ განაპირობა ის ფაქტობრივი მოცემულობა, რომ როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის საზღვრებს გარეთ, არაერთხელ გამხდარა დავის საგანი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მოქმედების „ფართო თავისუფლების“ რეალური საზღვრები და ხსენებული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების კონტროლის მექანიზმები. პრაქტიკაში, ალბათ ყოველდღიურად ვაწყდებით დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შემთხვევებს, შედეგად იზრდება მისი სწორად გამოყენების და დამკვიდრების საჭიროებაც. კანონმდებლობაში არსებული ბუნდოვანი და ორაზროვანი ნორმები, ხშირად გამხდარა და ხდება „შეცდომის“ დაშვების უმთავრესი მიზეზი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მხრიდან.

წინამდებარე ნაშრომის უმთავრესი მიზანია, გამოკვეთოს და აღწეროს დისკრეციული უფლებამოსილების მაკონტროლებელი მექანიზმების ძირითადი სახეები და დადგინდეს, თვითკმარია თუ არა არსებული სამართლებრივი მექანიზმი ხსენებული უფლებამოსილების განხორციელებისას სწორი და რაც მთავარია, სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად. ნაშრომში ასევე, დეტალურად იქნება განხილული დისკრეციული უფლებამოსილების ცალკეული პრაქტიკული მაგალითები, ზოგადად,

უფლებამოსილების განხორციელების პროცესი და მასთან დაკავშირებული ხშირად დაშვებული და გავრცელებული შეცდომები. კვლევაში წარმოჩენილი იქნება დისკრეციული უფლებამოსილების მართებულად გამოყენების მნიშვნელობა და როლი თანამედროვე, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში და აღწერილი იქნება დღეის მდგომარეობით არსებული სამართლებრივი მექანიზმები (ბერკეტები), რომელიც შესაძლებელს ხდის მინიმუმადე დავიყვანოთ შეცდომის დაშვების მაჩვენებელი.

საკვლევი საკითხის კომპლექსური სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით, ნაშრომში კუმულატიურადაა გამოყენებული კვლევის რამდენიმე მეთოდი, მათ შორის: ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური და ანალიტიკური მეთოდები. კვლევა მეტწილად ემყარება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის ანალიზს, აქედან გამომდინარე, ნაშრომში განხილული იქნება სხვადასხვა დროს მიღებული და სასამართლო პრაქტიკისთვის გარდამტეხი და გამორჩეული გადაწყვეტილებები.

წინამდებარე ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისგან.

**სამიუბო/საკვანძო სიტყვები:** დისკრეციული უფლებამოსილება, შეცდომა დისკრეციაში, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები, კონტროლის მექანიზმები, ადმინისტრაციული ორგანო.

## **Abstract**

As General Administrative and Administrative Processual Codes of Georgia has entered into force, several administrative-legal institutions have been established and modern administrative justice has developed. Execution of discretion(ary) authority is among one of these institutions, legal definitions of which is given in the Terms' Definition of General Administrative Code of Georgia.

We can state that discretion(ary) authority institution is novelty to the national legislation. Therefore, it is highly possible that above stated resulted in existing practice – within Georgia, as well as outside its borders, true limits of the “broad freedom” of the decision-making entity and mechanisms for controlling such decisions, has given rise to many debates. In practice, we see cases of discretion(ary) authority on daily basis, therefore, need of correct execution and establishment increases. Obscure and ambiguous norms in legislation often were and still are main reasons of “errors” in the acts of decision-making entities.

The main purpose of the present thesis is description and depiction of the main controlling mechanisms of discretion(ary) authority and establishment of how self-sufficient are existing legal mechanisms during the execution of the stated authority in making correct and most importantly just decisions. We will discuss practical examples of execution of discretion(ary) authority in detail, as well as general process of execution of authority and often made, as well as widely spread mistakes concerning the stated subject. The present study will present role of properly executed authority and its role in the process of developing modern, democratic and just state, we shall also examine legal mechanisms (leverages) which enable us to minimize mistakes.

Taking into account complex legal nature of the subject of the study, several study methods has been cumulatively used, which include: historic, comparative-legal, logical and analytical methods. The study is mainly based on the analysis of practical experience of Supreme Court of

Georgia, therefore, we shall discuss decisions made at different times and decisions which were extraordinary and crucial for court practice.

The present thesis consists of preface, four chapters, conclusion and the list of used literature.

**Key/searching words:** discretion(ary) authority, mistake in discretion, limits of discretion(ary) authority, control mechanisms, administrative entity.